

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 18.

აპრილი 24, 1894 წ.

№ 18.

შენიშვნები: ჩემი თავდასავალი აკაცისა.—ფუქრი და შენიშვნა დ. ნ.—ჩემს გულს, ლექსი სილოვანისა.—ჩემი სოფლის გიორგო მ. ბუჩქისა.—საყურადღებო აზრები.—ბიშარკის და გერმანიის იმპერატორის შეკრება. მეფე დამტყურო თუ დადებულა (კრიტიკა) სილოვანისა.—სამი წამ დუბუ მერკლისა.—ის აღიშნა (თარგმანი) გრ. დ.—ქისა.—საფარის მონასტერი, კალია და მისი მკვებლობა ს. ლინაძისა.—განცხადებანი.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

კ ვ ა ლ ი

გამოვა 1894 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თანხადის იმევე პროგრამით რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გაუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სილიქზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს: გაუგზავნელად შვიდი მან., ხოლო გაგზავნილ რვა მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და თითო შუაში, გაგზავნილ 4 მან. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მან., გაგზავნილ 3 მან. თითო ნომერი 20 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახლობო სამკითხველოში, *წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში* და თვით ქალაქს გარეშე ხელის-მოწერათა შეუძლიათ მიმართონ: კვალის* რედაქციას **Тифлисъ Редакция „Квали“**. (Большая Водовозная, № 22, домъ Айвазови) ქალაქს გარეთ: —ქუთაისში: სხვათა შორის ე. ბეჟანიშვილისა და ხეთერელის წიგნის მაღაზიებში. —ბათუმში: მათე ნიკოლაძის ყურნალ-გაზეთის სააგენტოში და ივანე სიმონისძე მესხთან —ბაქოში: ესტატე ბორისისძე ამაშუკელთან. —გორში: ზაქარია დავითიანთან. —ყვინფაში: თ. ხუსკივაძესთან, ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან. —ახალსვამში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძესთან. —სასწერეში: ყარაბან ჩხეიძესთან. —თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

წლიური „კვალის“ ხელის-მოწერა 1894 დაუბრუნდებთ საჩუქრად მხატვრობა „საქართველოს დიკა“ სამხრეთლო და სასაფლო სკოლის მასწავლებლებს და სახლობო წიგნის საკითხავებს დაეთმობათ „კვალი“ 7 მ.

ჩემი თავ-გადასავალი



გენი სახლის ზედა სართულს ოდა ერქვა, ქვედას—პალატი და ორივეს საერთოდ კი სასახლე, რომელსაც ირვედღე სამი კუთხით


სხვა-და-სხვა შენობა ერტყა: სამოახლო, საფარეშო, სახაბაზო, სამხარეულო, ბელოები, საბძოები, სასიმინდები, მარანი და სხვა-და-სხვა ხულები. იმათზე ცოტა მოშორებთ საჯალაბო და იმ საჯალაბოს გარს ერტყა საჯინბო, სათხებო, სალორე, საქათმე,

საბატე—საინდოურე და სხვანი. სამოახლოში ქა-
 ლები იდგენ და სამ ხარისხივანად იყოფებოდენ:
 გამდღობად, მოახლოებად და გოგობად. გამდელი,
 როგორც ოჯახის ერთგული, ნამსახური და მოჭი-
 რნახული, დიდ-ბატეში იყო, ხმა ჰქონდა საოჯახო
 საქმეში და ბატონიშვილების გამოზდაც მათ ხელში
 იყო. ეს ყოველ ოჯახში საზოგადოდ ძველთაგანვე
 მიღებული იყო, მაგრამ დღეა ჩემი კი ამ ქონანს
 არ დასდევდა და უფრო თეთთან გვზღიდა.—მოა-
 ხლე ქალბატონთან თანშეზღილი და ნაშთითი,
 მის ხელზე მოსამსახურე იყო. გოგო კი ყვე-
 ლას მორჩილი და მოსამსახურე. იმათ გამდლები
 აღდგენებდნ თვალ-ყურს და სწერთნიდნ; საქმე არ
 გამოეცდოდათ ხოლმე: ჰრა, კრევა, ქსოვა, ქარგვა,
 რიცხვა, აბრეშუმის მოყვანა და სხვა ამგვარი რამ
 ხელსაქმარი მათი პირდაპირი მოვალეობა იყო. კა-
 ცებს უფრო ცოტა საქმე ჰქონდათ სასახლეში. სა-
 ხაზაოში ხაზაუბები იდგენ; დღეში ორჯელ გაახუ-
 რებდნ თორანეს, გამოაცხობდნ საცაობს და სხვა
 საქმეს, რაც უნდა საქრო ყოფილიყოს, ხელს არ
 მოჰკიდებდნ. სამზარეულო მზარეულებს ეკირათ
 ხელში და ისინიც სახაზაობის კვალობაზე მიდიოდნ;
 მარან-ბელები ხელოსნებს ებარა, სასიმიდე და ხუ-
 ლებიც მათი საქმე იყო. საძღლები კი მეჯინიბეებს
 ჰქონდათ მიჩენილი. მოჯალაბე და მწყემსები ცალკე
 წრეს შეადგენდნ.—ყველას თავის საკუთარი, ძვე-
 ლითაგანვე დანესებული და ვადპირილი საქმე ჰქო-
 ნდა: სხვა საქმეს ხელს არ ჰკიდებდა, სხვების საქმე-
 ში არ გაერყობდა... იცოდა მხოლოდ ის, რაც მისი
 საქმე იყო და კიდევ ასრულებდა, თქმა აღარ უნ-
 დოდა. ეს ყველა ასე იყო, მაგრამ რადგანაც ამგვა-
 რი საქმის კეთება, მაინცა და მაინც ბევრ დროს
 არ მოითხოვს, ბატონი, მზღლებლებ უმეტეს ნაწილად
 უსაქმურად ბრძანდებოდნ და სიზარმაცით დათე-
 ნილი იყენ. მხოლოდ ფარეშებმა არ იცოდნ, რა
 უნდა გაეკეთებიათ!.. თუ ბატონები არ მიუთითე-
 ბდნ, ისე თავის თავად ხელს არაფერსა ჰკიდებდნ.

ჩვენ სახლს წინ დღი ეზო ჰქონდა, სადაც
 უხარ-მახარი ნიგეზები, ანუ როგორც ზოგან ემა-
 ხიან, კაკლის ხეები, საჩრდილობლად თავ-მომწონით
 შლიდნ შტოებს. სახლის წინ კარის ეკლესია იყო
 ავტუბული უკან საქალებოთი.—ძველათ, საქართველო-
 ში არც ერთი ეკლესია არ აშენდებოდა ისე, თუ
 უკან საქალებოც არ ყოფილიყო მადგმული. წირვა-
 მოცივის დროს საყდარში წინ კაცები იდგენ და
 უკან საქალებოში კი ქალები. რასაკვირველია, არავის
 მამაკაცთაგანს ფერკათაც არ მოუყვლიდა რამ ზუ-
 რკი მიეცია ხატებისაკენ და ქალებისათვის დაწყო
 ცქერა!. დღეს კი, როდესაც რუსულ წესზე შენდება
 ჩვენი საყდრები და საქალებოს აღარ უკეთებენ,
 ქალები და კაცები არეულათ შედიან საყდარში.
 ნახევრად ტიტველა ქალები თვალს იტაცებენ კა-
 ცებისას და მლოცველებსაც ზეციური სასოება
 ქვეყნიურ იმედებზე გადააქეთ. სისხლი უღელავსთ
 და გულისთქმა ებაღწევათ.— თითქმის ყოველ დიდ-
 ოჯახს ჰყავდა ძველთ საკუთარი მღვდელი; წირვა-
 მოცივა გაუწყებელი იყო და აღრე მღვდელსაც უფრო
 პატროსაცემდნ ვიდრე დღეს. მეფე ჭ მთავრებიც
 შენდობას თხოვდნ მღვდელს და ხელზე ეანბოზე-
 ბოდნ.—მხოლოდ ბატონები, თავის საკუთარ
 მღვდლებს, რადგანაც სულ ერთად იყენ, არა ჰყო-
 ცნიდნ ხელზე და ამიტომაც დარჩენილა ჩვენში
 ანდაზა: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.
 აი, ერცელი სახე, როგორც საზოგადოდ ყველა
 დიდ-ოჯახების, ისე ჩვენი მოსახლეკარობისაც. ახლა
 ეგება ვინმე იკითხოს, თუ რათ უნდოდათ მამო-
 ნდელ ბატონებს ურიცხვი ფარეში სასახლეში,
 მაშინ როდესაც საქმე არა იყორა? ამის მიზეზი იყო
 მაშინდელი ბატონ-ყმობის წესი და რიგი, ძველ-
 თაგანვე ისე რჯულად დაკანონებული, რომ მისი
 გატეხა ცოლვად მიანდათ. ამ ბატონ-ყმობაზე შე-
 მდებ მოვილაპარაკებთ.

(შემდეგი იქნება)

აგაი



ფიქრი და შენიშვნა

VII

უძაღვესი სწავლის მადების მსურველთა საყურადღებოდ



როთ ერთ ჩვენ განაზიათავანს ერთი ახირე-
 ბული სენი დასჩემდა: წელიწადი ისე არ
 გაივლის, რომ რამოდენიმე ყმაწვილი, რა-

შელნიც რის ვაევაგანობით მისულან მერვე კლას-
 მდის და ჰეიქრობენ, გეშველოა, არ იქნენ პირში
 ჩაღა გამოვლებულნი და ატესტატებს მოკლებულნი.
 თითქმის ყოველთვის ეს ბედი ქართველ ყმაწვილებს
 ეწევათ ხოლმე. ვინც ამავი არ იცის, იქნება ეს გა-
 რემოება არ გაუკვირდეს, მაგრამ ვინც იცის, რომ
 გიმნაზიის მერვე კლასში ახალს თითქმის არაფერს
 ასწავლიან, რომ აქ მხოლოდ ამეორებინებენ

შევირდებს წინად ნასწავლს, ის ვერ აუხსნის თავის თავს; რად უნდა მოხდეს, რომ ყმაწვილმა, რომელიც მერვე კლასამდის მისულა და მამასადავმ მთელი გიმნაზიის კურსი გაუვლია და კოდნა, ვერ გაათავოს გიმნაზია? დაუჯერებელია, რომ მან, თუ მანამდის უმეცადნია, მერვე კლასში აღარ იმეცადინოს, როცა თვითონაც უფრო კუკუშია და მიზანიც ასეა მოახლოებული. არა, აქ რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს, რომლის გამოცნობასაც ჩვენ ვერ შეუდგებით. ჩვენ მხოლოდ მოვიყვანთ ერთს ფაქტს და დასკვნა-კი, დღე თითო მკითხველმა გამოიყენოს! ორი წლის წინად სხვათა შორის ზემოხსენებული გიმნაზია უნდა გაეთავებია ერთს ყმაწვილს, ნ. თ—ძეს მაგრამ რომოდენსამე თავის ამხანაგთან ერთად ის არ იქმნა ცნობილი მოწოდებულობის ატესტატის ღირსად ნ. თ—ძის ამხანაგებმა შემდეგაც სცადეს ბედი იმავე გიმნაზიაში, მაგრამ მაშინაც ვერ მიადრწეს მიზანს; მ. თ—ძემ-კი ისარგებლა იმ ვარემოებით, რომ ქ. ოდესაში ნათესავები ჰყავდა და ერთ-ერთ იქაურ გიმნაზიაში გადავიდა. წარმოიდგინეთ, ამ ჩვენის გიმნაზიისაგან დაწუნებულმა ახალგაზდამ (მგონი სულ რუსულის ენის უკოდინარობას სწამებდენ), შეერიერად დასარულა ოდესის გიმნაზია და ამ ქამად უნივერსიტეტის მგორე კურსზე იმყოფება (უნივერსიტეტშიაც ისე კარგად სწავლობს, რომ სახელმწიფო სტიპენდია აქვს დამსახურებული)...

როგორც ჩვეულებაა, იმ გიმნაზიის შევირდებმა, რომელშიაც სწავლა დაამთავრა ნ. თ—ძემ, სადილო გაუპართეს მოსწავლეებს და, აი, ამ სადილოზე ერთი სიტყვა წარმოხატვა ნ. თ—ძემ (იხ. ვაზეთი „Одесскія новости“ 1892 წ. 17 ივნისისა, თუ არ უკლები) და შეადარა ერთმანეთს ორი სასწავლე-

ბელი, რომლებშიაც შეხვდა ყოფნა. აი, რა თქვა ნ. თ—ძემ: „ერთის წლის წინად მე გამოვიღიოდი ერთი გიმნაზიიდან, მძულვარებითა და ზიზლით აღესილი გიმნაზიებზე. ყოველი გიმნაზია მაშინ ჩემ თვალში იმისთანა დაქვსებულება იყო, რომელშიაც არსებობდა რაღაც ველური და ანა კაცური განწყობილება მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის; ახლა-კი ჩემდა სასიამოვნოდ სრულიად გამოვიცალე აზრი, ახლა სრულიად სხვას ვხედავ...“ შემდეგ ნ. თ—ძემ ჩამოთავალა ღირსებები იმ გიმნაზიისა და მასწავლებლებისა, რომელთაც მამაშვილურად მიიღეს იგი თავის ფრთეთა ქვეშე და სწავლება მისცეს სწავლის წუთრული მოველა, უხალღეს სასწავლებელში შესულიყო, გარდა ნ. თ—ძისა ჩვენ ორიოდ მავალითი სხვებიც ვიცით, რომ, ჩვენში დაწუნებული ახალგაზდები რაიმე მიზეზის გამო, რუსეთში გადასულიყო და იქ დამეთავრებინათ გიმნაზია და დღეს იმიტომ შევირჩერდით ამ ვარემოებზე, რომ ამით გვეჩრია იმ ქართველ ახალგაზდებისათვის, რომელნიც ნ. თ—ძის თანა ბედში ჩაეპარდებიან, არ დაეყარათ-იარაღი, ან არ მისციეებოდენ მაინც-და-მაინც იმ სასწავლებელს, რომელიც დედობის მაგიერად დედინაცვლობას უწევდა და სხვაგან ეცადათ ბედი. თუ სტუდენტობის დროს 4, 5 და ხან მეტ წელიწადებს ბატარებს ყმაწვილი კრუსეთში, რა იქნება ერთი ან ორი წელიწადი კიდევ მიუმატონ გიმნაზიისათვის; განსაკუთრებით იმათ შმართებთ ასე მოქცევა, ეისაც საუთლებაც მოეძებნებათ ამისთვის და სიმართლევც ნებას აძლევთ. დიად, როცა მაღალი კვლევი აუშენებიათ და წინ აღარ გვიშებენ, მაინც და მაინც ამ კვლელს რად ვატყებთ თავებს იქითა-ქეთაც მივიხედ-მოვიხედით, იქნება ვარშემოველება სიდანმე...

დ. ს.

ჩემს გულს

გულა, რად ძვერ ასე გაშმაგებითა? რად მიწამლავ სულს მუღმივი ფრიალით? შხაშხ მაწოდებ სასიკვდინე ფიალით და მწევე ნელის, ფარულ ცეცხლის გზნებითა...

რა გაწუხებს? ქვეყნის უკუღმართობა? მაგრამ მიწყვი ასეთია სოფელი; ქეთილს სჭარბობს აქ ბოროტის მყოფელი, სიყვარულსა მტრობა და უღმერთობა.

იმაღ შმაგობ, რომ გზას მახე დაკვიგეს? მაგრამ ნუ თრთი, თუ რომ შენი მგეზობარი

ბოროტია, უკეთუთ მეგობარი, და თუ ლოცვა შენი წყევალ გაიგეს.

ეგებ ნაღვლობ, რომ გხვდა გზა ეკლიანი? მაგრამ არა! გიცნობ დიღისხანა: ტანჯვა ბევრ გზის მედგრად ავიტანია იმედით, რომ დღე დადგება შხანი!

ვიცი, ვიცი, რად ხარ ცრემლთა გუბეში: არავინ გყავს მეგობარი გულისა, წრფელად მცნობი შენის კენესის, წყლულისა, გაგამხნოს, გცეს ბედკრულსა ნუგეში.

ჩენი სოფლის ვითარება



ოფელში ჯერ კიდევ ღრმად აქვს ფეხი გადმული მრავალ სხვა-დასხვა გვარ ცრუ-მორწმუნეობას, რომელიც უნდა იყოს ნათესი ძველის კნობიანისმცოდნისა. მებნობა ხალხში ჯერ არ მოსაბიძღო ნ კიდევ მკითხველ-მარჩიელები დ ქადაგი, რომელიც სარგებლობენ სოფლის ცრუ-მორწმუნეობით და რჩებიან მათი ჯიბით, საუკეთესო ღონისძიება იმით წინაღმდეგ საბრძოლად უნდა იყოს მღვდლის გავლენა მრევლზე გონებრივად და ზნობრივად; მაგრამ ასეთი მოძღვარი სოფელს აღარ ჰყავს. ახლანდელმა მოძღვარმა არ იცის ზედმიწევნით თავისი საღეთო ისტორია, არ არის განვითარებული თავისი სამშობლო ენაზე საღეთო წერილში, ვერ ახერხებს ქადაგებას, არც არავითარი ისეთი პრაქტიკული სწავლა აქვს, რომ სოფლის ხალხს გამოადგეს გაჭირებაში, უჩიჩის და კარგ ზნაზე დააყენოს, მრევლის გული მოიგოს და აწმიროს მკითხავენის თვალთმაქცობას. ის კი არა სოფლის ახლანდელი მოძღვარი თავის მრევლს მდიდრულად უყურებს, მისწონს თავი მხოლოდ მითი, რომ ზნობრივ ხალხისთვის გაუგებარს ენაზე ასრულებს ღვდელ-მოაქმედებას. ამიტომაც ხალხს დაზოგული აქვს გული სარწმუნოებისათვის; ხალხი ამისთანა მღვდელს ფორმალურად უყურებს, იცის, რომ მღვდელი ყოველი მისი უბედურებით, თუ ბედინებებით სარგებლობს: მოკვდება ეინმე—მღვდელმა ფასი უნდა გამოართვას დამარხებისათვის, ჯვარს დაიწერს ეინმე—მღვდელმა მაინც ფასი უნდა გამოართვას, შიანათლება ეინმე—მღვდელმა თავისი უნდა აიღოს. ერთი სიტყვით ახლანდელი მოძღვარი სოფლისა, ხალხის მანუფემებელი კი არა, მის შემაწუხებლად გადაქცეულა. აი, ეს არის ნამდვილი მიზეზი, რომ სოფლის ხალხს ზურგი შეუჭირუნებია თავის მოძღვრისთვის, ვარბის მკითხავენთან და ქადაგებთან. ქადაგი ხალხს უყვარს იმისთვის, რომ მრავალნიარის სასწაულებზე მოაუთხოვოს და მის სამშობლო ენაზე გულს მოაულობოს ხოლომე წმინდანების დამარხების იმედით. ის მოაუწოდებს ხალხს რომელიმე ჩენის სამშობლოს წმინდანის პატივსაცემლად, უჩიჩებს ხალხს, წმინდა გიორგის შესწიროს ან ცხვიარი, ან რაიმე ხელ-საქმიდან, ან ფული, ან რკინეულობა და პირდება წმინდის გიორგის მეხებით შეგლას.

აქედან ცხადად სჩანს, რომ ხალხი, რომელსაც სულიერი მოძღვარი დაჰკარგვია და მწყემსისა სამწყესოს აღარა ეყურება რა, ისევე მიტყეულა უძველეს: ჩეულებზე და ძველ ეროვნულ გამოხატუ-

ლებსადმი, რომ თავისებური სარწმუნოებრივი გრძნობა გამოეღვიძოს.

ერთი შესანიშნავი ცაცხვია ქვედა-საზნაოს ეკლესიის გალაგება; ეს ხე სწორედ თავის სიდიდით და სილამაზით ხეების მეფედ უნდა ჩაითვალოს, მთავარი ღერი - ტანი ამ ხისა --ორ საყენ ზევით სამ ნაწილად იყოფა, თითო ამ ნაწილთაგანი საკმაოდ დიდ ვრცელს ხეს შეადგენს; მთავარი ღერს ძირზე, თითო აღაბის სიგრცეზე, გარშემო აქვს შემოსხვილი რვა მსხვილი და უზორკლო თავის თავად ხე, რაც ერთი ორად აღამაზებთ მთავარ ხეს. ეს არის გარეგანი აღწერა ამ ხისა, შიგნით კი აქაურობები დარწმუნებული არიან, რომ წმინდა გიორგი განისვენებსა და ასასწაულმოქმედებს ამ ხესა. ამისათვის აქაურობი, განსაკუთრებით დედაკაცები, თავის წმინდა ეკლესია იხდიან ყოველ კვირაში ერთხელ მაინც და შემთხვევით ვიღაცა-გამოვლის დროს ეამბორონ და პირს ჯვარი გადაიწერონ ამ ხეზე. ამ ხეს გარშემო აქვს შემოხვეული ძამის ნართი, მისი შტოები არიან შეღამაზებული კვირისტაგებით, თითისტაგებით, ღონჭილებით, სხვა-დასხვა რვალებით, რკინეულობებით (რკინეულობას მიტომ წირავენ, რომ ფიქრობენ წმიდა გიორგია მისი მოყვარული და იამბოა) და სპილენძის ფულებით. როცა დადგება ხოლომე წმიდა გიორგის დღეობა ე. ი. 23 აპრილი, ამის ხომ ხალხს შეწირულებას საზღვარი არა აქვს: ეინ ცხვიარს წირავს, ეინ მამალს, ეინ გოკუს, ეინ საწათოს და ეინ რას.

სწორედ ეს სურათი საშწუხარო და საეალალოა, მაგრამ ეინ არის ხალხის ჩამგანგელი, ეკითხოს ზნაზე დაჰყენებელი, აი, აქ გვეჭირება სამშობლო ენაზე კარგად ასასწაული მღვდლები, რომელთაც კარგათ იცოდენ ჩენი საეკლესიო ისტორია, ღეთის მტყეულება, საღეთო წერილი, თარგმნება სახარებათა, იყონ გეაგრიშებული მკვერ-მეტყეულებაში, რომ ქადაგებით ხალხს მოაულობონ გული სარწმუნოებისათვის. აი, ამ თვისებას სწავლებას უნდა მიაქციონ გეროვანი ყურადღება ჩენმა აწინდელმა სტენიარებებმა და შეიბუშვიონ ვრცელი პოგრაზამა ჩენს სასულიერო მოწაფეთა განსავითარებლად ქართულ ენაზე. ერთი სიტყვით სანამდის ჩენს ხალხს მის სამშობლო ენაზე გეროვანად განვითარებული მწყემსი არ მიეჩნება, მანამდის მის ზენიობრივს ამალოებან და ქეშმარიტს ქრისტიანულს სარწმუნოებზე დაჰყენებს არა ემელებმა რა.

ამ დღეებში ჩენს მახლობლად, სოფელ თბილთა-წყაროში ვიღაცეკლა ერთი ახალგაზდა კაცი, რომელიც კოვიანმა ძაღლმა დაკბინა; ამ საბრალოს თუბნე ერთი მახლობელი მკითხავი აიძვდებდა, ჩემი წამალი სვი და მალეც მოკჩნობი, მაგრამ მან ორმოც დღემდის ვერ მიატანა: ჰურჯაზე შეიშალა და გადაიცილა. მკითხავის ჩრევეს რომ არა, ავადმყოფის პატარანი გორიერი წამლობას მიმართავდა და შეიძლებოდა მორჩინილიყო. ორი კაცი სხვაც არის დაკბინილი; სასურველია, რომ ეს საწყლები მაინც არ ჩაუყარდებოდენ უმეცარ მკითხავენს ხელში.



ბისმარკის და გერმანიის იმპერატორის შერიგება.

ქნება არც ერთს მამულის შვილს იმდენი
 ღვაწლი არ მიუძღოდეს თავის სამშობლოსა-
 ლში, როგორც ბისმარკს. მის დრომდის პრუ-
 სიის სამეფო საპოლიტიკო ასპარეზზე რუმინიის, ან
 სერბიის სამეფოს არ აღემატებოდა ღირსებით და
 სიერთაშორისო უფლებით, რაიცა შეეცება გერმან-

ნიის პატარ-პატარა სახელმწიფოებს, რომელნიც მუ-
 დამ ერთმანეთში იბრძოდნენ, ისე დასუსტებულნი
 იყვნენ ურთიერთშორის განხეთქილების გამო, რომ
 საურაუნგელისა და ინგლისის გახეთქებს საოხუნჯოთ
 არ ჰყოფნიდათ. სად იყო მათი შემაერთებელი და
 შეშაკავშირებელი ვინმე?...
 გერმანიის ლომი დაკეთროუნებული იყო, ნაჯეში
 ეგლე და მის მეფურს ფაუარს ჩრბილი ჰკეეცდა.

ენც გაუვლიდა გერმანთ, ყველა წიხლებს ესროდა და ლაუს ასხადა. გერმანიის ერდგულს შვილებს იმედი გაღწეულად და სიბრაზით დასციხოდნ თავის ერისა და მეფეების გაუტანლობას, ვაცალკეებას, ერთმანეთში მტრობას. საუკეთესო მისი მწერლები ბერნე ჰინე, შველე და შერრი საშინელს დაცინვის მათრახებს სცემდნ თავის ხალხს შურისა და მტრობის გულისთვის. ასეთა ამბავი ჰხდებოდა და 1863 წლამდის გერმანიაში. ევრც არავინ იფიქრებდა, რომ წყლულებით დაკეთორენებულს და დარღვეულს ლომს გერმანიისას ოდესმე მიეცემოდა კურნება. მაგრამ ბოლოს განგებამ გამოუკზაუნა მას გენიოსი მკურნალი. ეს იყო ბისმარკი, რომელმაც აღადგინა დაცემული სული ერისა, განკურნა კეთროვანი ლომი გერმანიისა; მისი თაოსნობით პრუსიის სამეფო სახლიდან გამოვადნ ცნებულნი გმირნი და ორმოცდაათი მილიონი ერი შეითქვა ერთი აზრით, ერთი ეროვნული გრანობით, აღდგა და გახდა უპირველესი, უძლიერესი ერი განათლებულ ერთა შორის. ასეთი იყო ბისმარკის დეაწლი სამშობლოს წინაშე. ამას შემდეგ მას სცემა თაყვანს დიდი და პატარა. ყველას ეკონა, რომ მხოლოდ ბისმარკის სამღერ თმაზე იყო დამოკიდებული გერმანიის ერის ძლიერება. ღმერთმა ნუ ქნასო ბისმარკის მეთაურობა მოვეშლოდესო, თორემ მთელი გერმანიის ერას ძალა ისეე განქრებოდა და უწინდელადვე მიწასთან გაესწორებდითო. მაგრამ გავიდა დრო, მოხერა კიდევ ახალმა ნიავმა. გერმანიის საიმპერატორო ტახტზე ავიდა ახალგაზდა იმპერატორივილჰელმ მეორე. ბისმარკი დაბერდა, მისი რიგი გამგეობისა, მისი ძველი პოლიტიკური ხერხები აღარ გამოდგა განახლებულ გერმანიის ხალხისთვის. ატყდა დრტინევა ყოველ მხრით, რომ ბი-

სმარკი მოგვიხუცდო, მას თავიდან ჩამოციხნდა სამი ღერი თმა და დაღუღურდაო. ახალგაზდა იმპერატორმა იგრძნო, რომ ბისმარკს მოხუცებულობის გამო უნდა დაენებებია თაეი გერმანიის მეთაურობისათვის. მაგრამ ამდროს ბისმარკის ერთგულმა მოყმებმა შექჰნეს ტირილი და გოდება, ქადაგებდნ მეორედ მოსელის ნიშნებსა. ისინი გიძახოდნ: ბისმარკი რომ გერმანიაში მეთაურად აღარ იქნეს, გერმანია დაიღუღებო; თვითონ ბისმარკიც ვერ გაუძლებს ასეთს მწუხარებას და მოკედებო. ამასთანავე იმასაც იძახოდნ, რომ ბისმარკი ისეთი ღარიბია, რომ თუ სახელმწიფო ჯამავირი მოესპო, შიმშილით მოკედებო. მისი მამული „საქსენვალდი“ ვერ არჩენსო. მაგრამ ყოველივე გოდება და თაეში ტყუება ბისმარკის მგვობრებისა ამაო გამოდგა. დრომ მოიტანა, რომ მისი მავიერობა კაპრიეს ეკისრნა. ბისმარკი წავიდა თავის მამულში და აქამომღე მომღურაედ იყო თავის ხელმწიფესთან. გავიდა მას აქეთ შვიდი წელიწადი. არც ბისმარკი მომკედარა, არც გერმანიის ერს გაჭირებია რაეე უფისით. ის კი არა კიდევ უფრო დიდი კეთილმდგომარეობა და წარმატებაც მიეცა.

ამ ბულოს დროს ბისმარკი თავის მომღურავს იმპერატორს ისეე იახლა და მისი დაბადების დღე მიულოცა. იმპერატორი და გადაყენებული კანცლერი სიხარულით გადახევიენ ერთმანეთს და ისეე შერიგდნ. თუმცა ბისმარკი აღარ განაგებს გერმანიის სახელმწიფო საქმეებს და არის კერძო კაცად დარჩენილი, მაგრამ მას კიდევ უფრო დიდი სიყვარული და პატივისცემა აქვს მოპოებული მთელი გერმანიისა, ვიდრე უწინ, როცა კანცლერად იყო და თავის ჯიუტობით, ყოველ გარე ცვლელბაზე წინააღმდეგობით ყველას აწუხებდა და აჯავრებდა.

საყურადღებო ამბავი



ანეთ იერიის* № 32 ამა წლის 11 თებერვალს, აღმოვიკითხე, რომ ბ-ნი ი. გოგებაშვილი უფასოდ უთმავს ქართულ ბაზილიოთეკებს და სამკითხველოებს თითო ცალს თავის გამოცემებისას და კიდევ სხვა სამი მანეთის წიგნებს. ამ წიგნების დაბარება შეიძლება წერა-კითხვის გამავრცელებლ საზოგადოების საშუალებით! ამისათვის

უმორჩილესად ესთხოვ ხსენებულ საზოგადოების გამგეობას, იშუამდგომლოს, რათა განცხადებული წიგნები გამოეგებზაენოს (წიგნების გამოსავაზუნის ფასის შედარებით) და ამ პატიეცემულმა საზოგადოებამ თავის მხრითაც აღმოუჩინოს ჩვენს ღარიბ ბიბლიოტეკას წიგნების შემოაწირით შემწეობა. წიგნები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: **Квирили Чхари-Алисубани, учителю Алисубан. школы диакону Михаилу Буачидзе.**

„მეფე დიმიტრი თავდადებულის“

თავ. ილ. ჭავჭავაძის პოემის

მკითხველის შენიშვნები

ქამწუხაროა და სავალალოა, რომ ხალხს ასობით პოეტ-მწერალნი ჰყავდეს და ნამდვილ საზოგადოებრივ და ესტეტურ კრიტიკას ჯერ კიდევ გზა ვერ გაეკვლიოს.

ჩვენში დღეს არსებობს კრიტიკის ორი უკიდურესი მიმართულება: ერთი — უზომოდ გუნდრუკის მკვებელი, მეორე — უზომოდ მიკცხველი და უარყოფელი. უსათუოდ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ კრიტიკის ამგვარ მიმართულებათა წარმომადგენელთა ახა აქვთ ჯეროვანი ნდობა და პატივი მოპოებული მწერლობის ასპარეზზე.

ქართულ დღიურ კრიტიკას რა დაუეჯეროთ, რომელმე სახელოვან მწერალს თუ რამე დაუწერია, ყოველივერი უნაკლულა და დიდებული უნდა იყოს. უნიჭა რამ თხზულება რა წაუკითხთ და უთხრათ, ამა და ამ სახელოვან მწერლის კალამს ეკუთვნისო, ცრუ კრიტიკოსნი ბავშურ აღტაცებაში მოვლენ, ხოლო, თუ გამოამყვანენ თქვენი საიდუმლო, ე. ი. რომ კრიტიკანთა გამოცდა ვსურდათ, ეს უკანასკნელი უთუოდ რაიმე მიზეზს იპოვიან თავიანთ შეცდომისას და ამ წაშში მათ გამტაცებელს თხზულებას მეორე წამსვე უარყოფენ და მიწასთან გასწორებენ; და რაც უნდა ნიჭიერი ნაწერი წაიკითხათ, თუ მას უსაქმლოსი, ან კრიტიკანთათვის რისთვისმე უსიმატოა მწერლის სახელი ჰქვია, ეს გარემოება საკმაო საბუთი იქნება, რომ ნიჭიერ ქმნილებამ მათი მხრით უნიჭობის სახელი დაიმსახუროს.

ამგვარ მდგომარეობაშია დღეს-დღეობით ჩვენი კრიტიკა, რა ვასაკირობა, რომ მას არ ჰქონდეს გაცუნება ქართულ ლიტერატურაზე და ვერ შესძლოს ხელოვნურ ნაწარმოებთა სწორ გზაზე დაყენება.

ილია ჭავჭავაძე, ჩვენის აზრით, შესანიშნავი მწერალია ჩვენს ქვეყანაში, ბევრი ნიჭიერი თხზულება მიუწოდებია მას ქართულ საზოგადოებისათვის; მაგრამ ეს გარემოება კრიტიკისათვის არ არასაკმაო საფუძველი, რომ ამ მწერლის კალმის ყოველივე ნაწარმოები უნაკლულად და უძვირფასეს განმათ ჩაითვალოს.

ჩვენის აზრით, ყოველ პატიოსან მოღვაწისათვის დამამცირებელი უნდა იყოს ამისთანა ბავშვური გუნდრუკის კმევა, როგორცაც ვაჟულობით ხოლომე ზოგიერთი მოღვაწეთა შესახებ გუნიას კალენდრებში, — ხოლო, როცა საზოგადოებაში განვითარებულია, გულწრფელად და ჭკუიანად ცნობილი

პირი მსგავსადვე აკმევს გუნდრუკს, მაშინ ჩვენს შეძრწუნებას საზღვარი არა აქვს... განა შესაძლებელია, მოინახოს იმისთანა ადამიანი, რომ ის ზნეობრივად ან გონებრივად ყოველად უნაკლულა იყოს? აგრეთვე იპოება განა იმისთანა მწერალი, რომ მისი ნაწერი ყველა კარგი იყოს?!

ილია ჭავჭავაძის პოეტური თხზულებანი, ერთად შეკრებილი, წაიკითხა ჩვენმა საზოგადოებამ, — ზოგმა ყველა მოიწონა, ზოგმა ბევრი დაიწუნა, — ერთი რამ გადაწყვეტილი აზრი კი ვერ შედგა მათ შესახებ. აი, აქ უნდა მიხმარებოდა მკითხველ საზოგადოებას პარუთენელი კრიტიკა, მაგრამ სამწუხაროდ, კრიტიკამ შშრალათ, უსაბუთებოდა წარმოთქვა: ილია — ძის პოეტური თხზულებები ყველა კარგია, ხოლო საუკეთესო ესა და ეს არის, და საუკეთესო თხზულებებში მოაქცია აგრეთვე „დიმიტრი თავდადებული“.

ილია — ძის თხზულებათა შორის ჩვენ ზოგი მიგვიჩინა შესანიშნავ თხზულებათ, ხოლო იმის კი დიდა წინააღმდეგი ვართ, რომ „დიმიტრი თავდადებული“ შესანიშნავი და საუკეთესო იყოს. ამიტომაც ავიღეთ კალამი, რომ ჩვენი აზრი წარმოვთქვათ ამ პოემის შესახებ.

პირველად ჩვენ ყმაწვილობისას წაიკითხეთ „დიმიტრი თავდადებული“ და, უნდა გავტყდეთ, ბევრი ცრემლი გამოიწვიო მეფეს სულის გაწირვამ ჩვენის თვალისა; მეორედ წაიკითხეთ ამ უკანასკნელ დროს ტფილისის ამხანაგობის გამოცემაში, და უცრემლოდ და აუღელვებლათაც ჩაიკითხეთ ბოლომდის. დაუეციკრდით ჩვენს სხვადა-სხვა დროის ორგავარს სულიერ მდგომარეობას ხსენებულ პოემის კითხვის დროს, და ეს დასკვნა გამოვიყვანეთ: იმისთანა მკითხველს, რომელსაც წაიკითხულის გასჯა-აწონა არ შეუძლია, ყოველთვის გულს აუჩუყებს დიმიტრი მეფის თავ-გადასაჯალი; უბრალო წიწვილის დაკვლავ კი ყმაწვილს ცრემლსა გვრის, და რა ვასაკირობა, რომ ადამიანის მოკედინებამ აატროს?! ხოლო, თუ მკითხველი ოღონე მაინც განვითარებულია და მსჯელობა შეუძლია, ამ პოემის კითხვის დროს მას უნებლიეთ ებადება საკითხი: რისთვის სწირავს სულს მეფე? ამ საკითხის პასუხათ ავტორი მეფეს აღაპარაკებს:

„მე მეფე ვარ და მეფობის რიგეც ვიცი, რაში არი...
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუდგას თავის ცხვარი.“

ავტორის წინააღმდეგ ჩვენ ეფიქრობთ, რომ დიმიტრის, როგორც მეფეს, არ ცოდნია, თუ რა-

ში მდგომარეობას „მეფის რიგი“, თორემ ეს რა „რიგია“, რომ მეფე ყენის ეძლევა თავის ნებით და ხალხს უთაობა ტრევებს? რით იყო მეფე დარწმუნებული, რომ იგივე ყენი, მის თავის მოკეთათს შემდეგ, უმეფოთ დარჩენილ ქვეყანას არ შეესეროდა და ნაკარ-ტუტას არ აადენდა?

„უუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს, მეგლს დაუგდოს თავის ცხვარი?!

ეს სიტყვები კარგია, მაგრამ საქმით კი გამოდის, რომ მწყემსი ცხვირის ფარას ღეთის ანაბართ ტრევებს და ხელის გაუნძრევლათ მეგლს კბილებში უფარდება. ჩენის აზრით, ამისთანა მწყემსსაც „უუ“ ეთქმის, რადგან მისი საქციელი, თუ სიმხდალის ანა, უფუნჯობის ნაყოფია, წინ დაუხედავი და უანგარიშო თავ-გაწირვაა...

მეტათ სიმპატიური პირი იქნებოდა ჩენთვის დიმიტრი მეფე, რომ ის სარწმუნოებისათვის სწირავდეს თავის სულს. სარწმუნოებისთვის საწამებლათ გამწალებული პირი საფუძელიანად დარწმუნებულია, რომ, როცა გულ-ხელ-დაკრფილი მტერს ნებდება და თავის ღეთის სახელის მოწოდებით თავსა სწირავს, ამით ხალხში ძლიერად ვაღვიძებს სარწმუნოებისადმი პატივისცემას და სიყვარულს. და როცა კი მეფე უხმლოდ და უთარალოთ მტერთან მიდის და „მამკალიო“ ეუბნება, ამგვარ მავალითს ხალხის ბუნების მხოლოდ გალახრება შეუძლია, და არა ვაგულდება და გამხრევაბა.

ჩენ გვახსოვს მსოფლიო ისტორიიდან მხოლოდ ერთი მაგალითი, როდესაც მეფე მტერს თავისით ნებდება და თავს შეაკლავს. ერთხელ დარჩილები საბერძნეთის ერთ კუთხეს, სახელდობ ატიკას, შეესიერ და მისი დაპყრობა უნდოდათ; ატიკის მცხოვრებლებმა მარჩიელს მიმართეს; მან თქვა: „ის მხარე გამიარჯევებს, რომლის წინამძღოლიც მოაკლვისო.“ ათინის მეფემ კოდრმა ჩაიკვა უბრალო კაცის ტანისამოსი, წაედა მტრის ბანაკში, ასტეხა იქ ჩხუბი და მტერს განვება თავი შეაკლა. როცა დარჩილებმა შეიტყვეს, რომ მათ მიერ მოკლული ათინის მეფე იყო, მარჩიელის წინაწარმეტყველობის შეეშინდათ და გაიქცენ.

მე მესმის ამგვარი თავის შეწირვა. აქ ხალხისადმი სიყვარულიც იხატება, სიმხნეც და მასთან ჰქუა და მოსაზრება, უტყუარი ანგარიში. კოდრი დარწმუნებული იყო, რომ მისი სიკდილი ნაყოფს მოიტანდა. მარჩიელების (ორაკულების) წინასწარმეტყველობას საბერძნეთში ძველათ ისე უყურებდენ, როგორც ქრისტეს მოხელის პირველ საუკუნეში ქრისტეს სიტყვებს უყურებდენ ხოლომე მისი მორწმუნენი. მე სულ სარწმუნოების საქმეა, და, აბა, რა

კოდრის საქციელის შესადარებელია ჩენის მეფის დიმიტრის საქციელი! ერთი სწირავს თავის თავს, სრულიად დაჯერებულია, რომ თავის სიკდილით მტერს დაამარცხებს და თავის სამეფოს უბედურებას აშორებს, მეორე კი მიდის წინდაუხედავათ, სამეფოს შესახებ არაფერ განკარგულებას შეუბრუნდა (უნდა ვიფიქროთ, რომ მეფეს იმედი ქონდა, კელაე უკან დაებრუნდები უნებლათო) და კედება ჯალათის ხელით.

ამგვართ, დიმიტრი თავდადებული არ წარმოადგენს ჩენთვის მეფეთა შორის სანატრელ იდეალს. მაგრამ დიმიტრი ისტორიული პირია და, მასადამე ავტორის ნაკულულებებით მხოლოდ და უნდა ჩათვალოთ, რომ დიმიტრის ამგვარი უაზრო თავდადებით ერთობ აღტაცებულია, ეს მეფე თავის პოემის გმირათ აუყვანია და იდეალათ თვლწინ გეყენებს.

როცა „ქართლის ცხოვრებაში“ ცვითხულობთ დიმიტრი თავდადებულის ცხოვრებას და ჩენ მიერ აღებული პოემის შინაარსს ვადარებთ, თითქმის ეგრაფერ განსხვავებას ვაულოებთ. მეფის დიმიტრის ვულგემბატეობა თავის ქვეშევრდომთადმი; დამბარცხებელის უცინის წინადადება; ან თვით გამოცხადი ჩემთან, ან შენს ქვეყანას ავაობრებო; მეფის მიერ დილებულთა მოაწვევა და მათი თათბირი; მეფის ამოყენება კრების წინაღმდეგ, რომ უთუოდ უნდა წვიდო ურდოსო; ღვედომთავრის აზრი, რომ წასულ ურჩია; მეფის მისვლა ურდოს და მისი თავის მოკვება, — ყველა ეს ძლიერ ვრცლად არის აწერილი „ქართლის ცხოვრებაშიც.“ ჩენის პოეტის საკუთრება პოემაში მხოლოდ ის არის, რომ 1) დიმიტრის თავდადასავალს მოგვითხრობს ელაეც მეფანდურე (ეს წესი მოთხრობებში ხშირათ უხმარათ სხვადასხვა მწერლებსაც ჩენს პოეტადმის), 2) მოხუცისა და მის ორის შელის გამოსვლა. ამგვართ, პოეტის ფანტაზიასა და აღმადრინას აქ ბევრი არაფერი უშუშაგნია.

ჩენის აზრით, საუკეთესო ადგილი პოემაში არის მეფისადმი მიმართული მოხუცის სიტყვები: — უყეთ ეთქვათ — აზრი, რასაც მოხუცი ეუბნება მეფეს და გრძნობა, რომელიც იხატება მოხუცის სიტყვებში:

... მულს რად გვიკლავთ? ჩად მიღიხარ?

ნუ თუ, მეფე ხსნა არ არი?

ქულდებე კაცი და ლუძახე,

შოაგროვე სპა და ჯარი.

კოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,

ვინც კია, ყველა ღვია...

ბევრჯერ უნახავს ქართლის მტერს,

რომ ცოტაც ბერის მძლევია.
 აჰ, მეფე, ორი ბიჭი,
 მხრებში რომ ამოჰდგომია,
 ორიე ჩემი შვილი არი,
 ერთი მეორის მგზობია.

მიირთვი და ინაცვალე,
 ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
 ომში, მეფე, გაჩენებენ,
 რა ლომებს ზრდის ქართველის ბუდე.

შეკრიბე დიდი, პატარა,
 გაუძელ წინამძღოლად,
 მტერს წინ დახედი... ვინც უკუდგეს,
 დედა შეერთოს ცოლად.

ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფე,
 ბერი რამ გადახედია,
 მაგრამ უომრად მტრისა წინ
 არ წაუხრია ქედია.

წურქ დღეს ეიზამთ ამ საქმესა,
 უომრად ნუ დემარცხდებით,
 თუ ვერა ეძლეეთ, დავიხოცნეთ
 სახელითა და დიდებით!!!

ასე ათავეს მოხუცი თავის სიტყვას და ამ
 სიტყვას მე ყოველთვის აღტაცებაში მოეყავარ და
 ეამბოზ: „აი, კაცი, რომელსაც არ შეგხვებია ლაჩრობა
 და რომელსაც ესმის სამეფოს წარმომადგენლის და-

ნიშნულება! ის, მხოლოდ ის არის ჩენის თანაგრ-
 ძნობისა და თვითსამეფო ტახტის ღირსი, და არა
 მეფე დიმიტრი, როგორც პოეტი ფიქრობს“-მეთქი.

„ქართლის ცხოვრების“ თქმულებიდან პოეტს
 დაუმალავს ერთი ვარემოება, ურომლისთოაც დიმი-
 ტრის პიროვნება ნამდვილათ არ დაეხატება მკი-
 თხეგლს თვალწინ. ეს ის ვარემოებაა, რომ მეფე დი-
 მიტრი თვდაპირველათ თავის ხალხის შემბრალეზე-
 ლი, მოწყალე და ღვთისმოყვარე იყო, ხო-
 ლო რამდენსამე წელს შემდეგ ხალხის სამსახურიც
 დაივიწყა და თვით ღმერთიც: სამი ცალი შეირთო,
 უსჯულოებასა და უწყისებას ხელი მიჰყო და მისი
 მაგალითით მთელი სამეფო გაიჩურჩაო. ჩენის
 აზრით, დიმიტრის საქციელი (მტრის შებრძოლების
 შიში და მტრის წინ ლაჩრულათ ქედის წახრა) მე-
 ფის გარყვნილ ცხოვრების შედეგი უნდა ყოფილი-
 ყო, თორემ „პატარა კახს“ ვანა ერთხელ და ორჯელ
 დამუქრებია ასჯერ უფრო ძლიერი მტერი?—მაგრამ,
 მოხუცის არ იყოს, „მტრისა წინ არ წაუხრია ქე-
 დია“.

ამას შემდეგ ჩვენ გვირდა ჩენი შენიშვნები წა-
 რმოვთქვით პოემის გარეგან ფორმის, ენის შესახებ.

სილოვან

(შემდეგი იქნება)

ს ა მ ი ხ მ ა

შ აშინ, როდესაც მწარე ხედრთან ბრძოლით
 დაქანცულს,
 თვალწინ მიდგება მთელი ჩემი აწყყა-წარსული
 და ჩემს ძალ-ღონეს უნაყოფოდ ვხედავ დაკარგულს,
 რაღაც უცნაურ ხმებსა ვისმენ სულით ტანჯული
 და მფუზნება პირველი ხმა: „დროა, დაჰყარო
 იარაღი და დაპიროჩილდე შენს ბედისწერას;
 თუნდაც წვეთ-წვეთად მთელი შენი სისხლი და-
 ჰღეარო,
 ხომ ჰხედავ, მაინც უძლიერი ხარ, გახდები ვერას?“
 მეორე ამბობს: „მით ირჩევი პირუტყვისაგან,
 რომ თუ არა ხარ შენის ხედრის შენ კმაყოფილი
 ძალივმს მოჰკედდე და იხსნა თავი სიკაცობისაგან;
 თავის მოკვლა სჯობს მას, რომ იყო ბედის მოპირო-
 ლი!“

მესამე ხმა კი მეუბნება, რომ არ ვინდომო
 არც პირველი და არც მეორე რჩევა სახარი.
 შემოვიკრიბო კვლავ ძალ-ღონე, ვიბრძოლ-ვიომო
 და ბოლომდისა გამოეცალა ფაილა მწარი.
 აღიდგება მხოლოდ იმას ელის, ის აღარ ჰკედება,
 ვინც თვის სისხლისგან უმზადებს ერს წყლულთა
 მაღამოს,
 ვისაც არაფრად მიაჩნია ტანჯვა-წვალება,
 ოღონდ ტყიელი მას დაუცხროს და დაუამოს,
 მაშ, შენც იტანჯე, მოსწმინდე ხალხს ჩაგრულს
 ცრემლები
 და შეიქნები შენ უკედავი და დიდებული!“
 მესმის და, სულით დაცემული, ისევე ემაღლდები
 და საბრძოლველად ისევე მზად ვარ გამხნეებულო!...

დუბუ შვგაჯილი

ი ს ი ლ ი მ ე ბ ა !

(ამაზი ზეუდრმანისა)

გუქდენი ა. ს —ს ასკუს, მ—ს.



ქესი წლის წინად განთქმულმა ფინანსისტმა, მილიონერმა მიმღწეია თავის ერთად-ერთ ქალშვილის მასწავლებლად. რიგჯანად არ იყო გამოარკვეული, რა უნდა ყოფილიყო ჩემი გაკეთილებების საგანი; თუმცა კი უწინარეს ყოვლისა არ უნდა დამეტოებინა უყურადღებოდ ისტორია, ფილოსოფია, ესთეტიკა, ხელოვნების ისტორია, მითალოგია, ლიტერატურა, სტილისტიკა და რეტორიკა. როგორც ხედავთ, ეს გვემა სკამოდ ფართო იყო. მეც ეგრე მიმანდა, მაგრამ, როცა ჩემი მოსაზრება სწავლების შესახებ გაეუზიარე დედა-მისს, ამ უკანასკნელმა დამამშვიდა და მითხრა: საქმე ის კი არ არი, ყველა ეს საგნები გაიაროს და ზედ-მიწევნით შეისწავლოსო, არამედ საკიროა „ამ ნორჩი სულის აყვავება“. მიუხედავად, რაც ჰსურდა, ჩემი მიზანი იყო: „პრაქტიკული ხელმძღვანელობა სულის აყვავებაში“ (გამდიდრებაში).

დედა, როგორც მიხედვობოდი უკვე, მაღალი წოდების მომსახურებელი კუთის პატრონი იყო, მამა — შეუფერებელი ხასიათისა და საქმის მიმყოლი კაცი, შვილი — ამაყი, გოროზი ქალი. თუმცა ჯერ არ იყო იგი დასაკებული, მაგრამ მთლად გამსკეპალული იყო ზეჯი ამაზრტაუნობით და სითამაშით, როგორც სწევია წარჩინებულს მაღალ წოდების ასულს. პირველად ისე მექცეოდა, როგორც მოსამსახურეს: ამაყად ვადმოშვებდავო ხოლმე; საქმარისი იყო, რადენჯერმე სასაცილოდ ამეგოდა — მოზარდ ყმაწვილეს ხომ დაცივებით შეიჩევე — რომ ის შემდგომში სიფთხილით მოქცეულიყო. მე მაინც იმის სწავლება თავში საკემი ვამიხდა. გარდა ფრანგული ენისა, რომელზედც თუთიყუშობით ლაქტუქებდა, არაფერს სწავლობდა. მეტიც მეტი ზარმაცე იყო და ზარმაცობაში ტუტუტუ: რაც არ გავგებოდა, ის მისთვის თითქმაც არც არსებობდა. მას ჰაზრის სილატაკისთან გრძნობის სიღარიბეც მოსდევდა. მართლაც, მე არ შემინიშნავს, რომ იმის ფერმკრთალს, გამხდარს სახეს ოდესმე გამოეცვალოს თავის ჩვეულებრივი მოღალულობის და ნაყროვნების გამოხატულებად.

დედა აღზრდის დროს მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ ქალის სახეზე მუდამ საამბური ღიმილი ყოფილიყო გამოხატული.

— ინეს, ჩემო შვილო, რას ნიშნავს ეს შექმუ-

ხენილი წარბები? ინეს, მხოლოდ თავაზიანობით და ალერსით მოინადირება ადამიანის გული. ინეს, მე მსურს, რომ მუდამ ილიმებოდე!

ინესიც, გოაცებული, ილიმებოდა. იმის მაგიერად, რომ ახალგაზდა არსებისათვის გულში ჩაენერგათ სიყვარული და ცხოვრების სინაზრლი, მის მეტს არაფერს თხოვდა, რომ სახეზე მუდამ ვადაფერილი ჰქონოდა ყელზე მუხის შარავანდელი.

რა ჰქონდა ჩემს უსიამოვნო ხასიათის მოაწუქს მიმზიდველი? ის, რომ იგი იყო გულწინათრობილი ქალი, ის ცხოვრებდა მარტოაზაში. თუმცა იქნება ამას თეთთან არ ამჩნევდა. რადგანაც მრწამდა, რომ ყველა თხუთმეტის წლის ყმაწვილს უნდა ჰქონოდა ახალგაფეთქილ ყვავილეთი უმანკო სული, ამისთვის მე ვადაწვევტილ შემესწავლა იმის არსება სრულად: უნდა ვამეგო, ხომ არა იყო რა მასში იმისთანა, რომელსაც ჯერ-ჯერობით ეძინა და რომელიც გაღვიძების ღირსი კი იყო.

მე ავიჩიე უციღურესი საშუალება, რომელსაც ამ გვარ შემთხვევაში ყოველთვის შემწეობა აღმოუჩენია ჩემთვის: წაეუციოთხე ჰეინეს „Buch der Lieder“. კითხვის დროს გაეუზიარე რადენიმე მოსაზრება სიყვარულზე და ქვეყნის ვარამზე და — შეხე! ჩემმა საშუალებამ ვასკრა. თვალები გაუბრწყინდნ, სახე გაუცხოვდა და გაწითლებული ლოყებით გამომოტყდა რომ ორივე გრძნობა-სიყვარული და საქვეყნო ვარამის გამოგულის ტკივილი — ჩემთვის უცნობი არ არისო, მე დღიური მაქვსო. სადაც ეწერ და სხე...

ახლა კი ხელთ ვიგდე გარეული ჩიტო: ის სრულად მომინდო. იმან კიდევ ვადაპარება: შემოყვარა...

უნდა გენახათ, რა ნაირად აცხადებდა თავის გრძნობას: ის დაეყრდნობოდა სახით ორივე ხელზე, სახელოები ჩამოუტყუნებოდა ნიდაყვებამდე და თვალებს დაშტერებით, სედლიანად მომაპყრობდა. „ნეს, ნეს, ნეს ოცნებებო“ — მეთვის, ის ხმა მაილა ამოიოხრავდა და დაიწყებდა კითხვის ან წერას.

ახლა ის ბეჯითად სწავლობდა და ისე იყო დანდობილი ჩემ ხელმძღვანელობაზე, რომ იმედს არ ეკარავდი იმის დამახინჯებულ აღზრდის შეცდომების შესწორებაზე ჩემი გაუღენის მეოხებით. მე ვაწავლიდი, რომ უზედურნი, დაგლეჯილ-დაფუთილ ტანისამოსში მოსიარულენი, ფეხ-შაშველნიც ფოქრობენ და გრძნობენ ისრედვე, როგორც თავდაზნაურნი და მილიონერნი, ამიტომაც ჩვენ არავინ არ უნდა გეტუღლეს და ყველა ადამიანი ერთნაირად გვიყვარდეს. ეს იყო იმისათვის სრულიად უცხო,

ჯერ იმისაგან არ გავიწილი. ერთხელ ჩამოვუვდე სიტყვა შინაგან სიტყუით სახეს დიდაცურ ჩეულებებზე და მივეცი თხზულების დასაწერად ტემა „ლიმილი“. იმან არ იცოდა, თუ რაწიხად შესდგამოდა საქმეს: მხოლოდ მაშინ, როცა მე იქნება კიდევ გადაჭარბებულ გულ-მზურვალუბით აუტსენი ჩემი ჰაზრები, ჩემი შეხედულება—თვალბმა ელვარება დაუწყეს, თითქოს მისს საკუთარ გონებაში ამომგვი-თხოს მისი აზრი. შემდეგ კი მის ნაწერებში ენაოვე ჩემი ჰაზრები, რომელნიც საოცარი სისწრაფით და შთაბეჭდილებით იყვენ გამოხატულნი. დასკვნითი სიტყვები ამ თხზულებიწა ლადადებდენ: „რაც კი უმაღლესი და კეთილშობილი რამე მოიპოვება ადამიანში: მაგალითად მისი პატივისმოყვარება, მისი ბედნიერება მისი სიყვარული—ყოველივე ეს თანდათან ჰქრება, კვდება, უკეთუ ლიმილი, რომელიც გამოიხატვის, იმის სახეზე, არის ყალბი ლიმილი“. ყველა ეს კარგი იყო და პატიოსანი, მაგრამ ამაწ მომტება კისერი. ორ-ღდეს შემდეგ, როცა გადავეცი იწეს თხზულება ზეწარწერით: „ქარგია“, მე მივიღე წერილი, ღდა მისი მატყობინებდა, რომ იგი რბულებული იყო დღევთხოვენ, რადგანაც ჩემს ჰაზრებს არ თანაუგრძობდა და ამიტომ ვერ გეუზიარებია ჩემი შეხედულობა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. მე აღარსად შეეხედრივარ ჩემ მოწაფეს. ერთხელ სრულდებო მოულოდნელად ბედმა შემხებდრა ის ლ—ის სახლში, საცა მიპატიებული ვიყავ სადილზე.

— წამობანდით, მე მინდა წაგადგინოთ ერთი მანდილოსნის წინაშე—მითხრა მასპინძელმა და გამიყარა მკლავი—ქაღალბთან ზ—სა, ხომ იცნობთ?

— არა მაქტს ბედნიერება.

— ეჰ, რას ბძანებთ, თქვენ ხომ იმის მასწაღეღბელი იყავით, იმას თვითონ უაზბია ეს ჩემთვის. მე გავოცდი, დავიწყე აქეთ-იქით ყურება და მართლაც მოკვარი მას თვალი. ის მიყუღებულიყო საგარბდის ზურგზე და ხელოვნურად ათამაშებდა სპილოს ძელიწაწაწა გაკეთებულს მარაოს. შეენიერი ტანაღაბა, გაბაღრული, ფერ-მკრთალი, საუბედუროდ პუღრწაყრილი სახე, ღდი, შავი, მიბნეღილი თვალები, მოღელუარე გულ-მკერდი, მართლაც, რომ შეენიერი არსება იყო!

იმანაც შემინწნა. შემომხედა უტბად, ამთვალ-

ჩამათვალეღრა, თითქოს უწდაღა გეგვო, რაეღწნად გახდა ღირსი მისი უწინდელი მასწაღეღბელი საღლოწნი შესღლისა და შემდეგ უგუღლოდ ხელი გამომიწოდა; ამასთანავე იმის ბაეღ ვაიბო და გამოსახა ღმიღლი, რომელიც ისე ჰკაეღა თხუთმეტის წღის ქაღწუღლის ღმიღლს, ვით ჩრდიღღეთის ეღეა-რება (сѣв. сѣніе) გავაზღწულღს მწეს. ნახეღრად აღღრსიანაწა, ნახეღრად მაწაყენიღმა, ციემა, მზარულღბას და ნუკეწმს მოკღებულმა ღმიღლმა ყრკოღა მომგეღრა.

ჩეენ დავიწყეთ უგუღლოდ ღაპარაკი იმ საღნის შესახებ, თუ როგორ გეღატარეთ ის ღრო, რომღის განმავღღობაში ჩეენ ერთმანეთი არ გეენახა.

ამ ღროს მიგეღიწეღეს სადიღად და ჩეენც წაეღღით ადღიღების დასაკერად.

იმან ერთბაწად—ზეღი-ზეღ გადაჰკრა ორი ჰიჰა წითელი ღღინო, ჩეენმა საუბარმა მალე მიიღო მზარული, ძაღღ-ღაღუტანებელი ხსაიათი. ასეც უწდა ყოღფიღიყო, ხომ ღღიღხნის ნაწრბები ვიყავით. ბოღღო ღროს თვითონ გაიხსენა უწინდელი სიყვარული და დაციენის კიღათი დიწყო იმაზე ღაპარაკი. მე მიწნღოდა საუბრის საგანი გამომეკეღლა, ამიტომაც შეუმიწნეღლად გადავედი აწმყოზე.

— როგორც ღღიღხნის მეგობარს, რომელიც თქვენს ბედს მეღამ თვაღ-ყურს ადენენბს, შემიძღღია გკითხოთ: „თქვენ ბედნიერი ბრძანდებოთ?

— ბედნიერი?... ოჰ, რასაკიერიღია!. მსწრაფღად მომიგო პასუბი და გაიღმა. აი, კიღეე ის წყეღული ღმიღლი! ვით პაწაწინა ხელიეებმა, დიწყეს კლაეწა იმის ტუწების ნაეკეცბმა.

— თქვენი მეუღლე საღა ბძანდება? ჩემდა საღმწუხაროდ როღი გავუცნივართ.

— ჯერ, პირდაპირ ხომ თავს მიქნეღს,—თქვა თუ არა, ასწია ჰიჰა და რამდენჯერმე თავი დაუქნია სუფრის მეორე თვეში მჯღომარე პირს.

დამკეწარი, ჩაბერებული სახე, პატარა მოხამხამე თვალები, შექაღარავებული ესპანიური წეღრა. მე ვიწრბიღი მას საემაღღ.

— როღის გაიციანოთ და შეიყვარეთ ის?

— შეიყვარებ?... მომიგო მან გავრბღებღული კიღათი. „ხომ არა სურს თავის საიღღმღო გამიზიაროს“,—გამიეღღა თვეში ფიქრმა. ის განაგრბობდა:

— როდესაც ჩემმა მეუღლემ ქორწინების სულიერი გამოიციხადა, უკვე დაეწყებოდა მქონდა ჩემი სულიერი ყმაწვილური ოცნება. მე, რასაკვირვლია, არ დამიძალავს მისთვის, რომ სიყვარულს ვერ გაუზიარებ.

— იმან კი?

— იმან იმ წამსვე თანხმობა გამოიციხადა.

— მე ამას არ გვითხვებით, ხომ უყვარხართ?

— ოჲ, არა! მიპასუხა და ვაიღობა. პაწია ხელიცემა ხელ-მეორედ შეითამაშეს. „ეს დედაკაცი უბედურია, მეტად უბედურია“, — გაფიქვირე.

— თქვენ ზრდილობის გამო თითქოს არ გჯერათ, განაგრძობდა ის, მე არ ვატყუებ ჩემ თავს, იმან თვითონ დამარწმუნა ნამდვილად: ორი კვირა რომ გავიდა ქორწილს შემდეგ—თქვენ ხომ ძველი მეგობარი ხართ და მე არაფერს დაგიმალავთ—მე მივსწრე იმას ჩემს ბუღღარაში, როცა ის არწმუნებდა ერთს ჩემს მეგობარ ქალს, რომ იმან მე მხოლოდ იმ განზრახვით შემიერთა, რომ ამას დაახლოვებოდა. ეჭვი არ უნდა, ამასვე ეუბნებოდა სხვა ჩემ მეგობარ ქალებსაც.

— თქვენ რა ჰქვინთ? იმან გაიოცა. მე ისე არა მძულს რა, როგორც სკანდალი, აყალ-მაყალი. უკეთესს რას ჩავიდინდი? გავდიომე.

ამდროს ერთმა ქალმა დაუყვირა:

— ინეს, მიიღე ფორტის დაბარებული? ინეს იმ წამსვე მიუბრუნდა და გაება ლაპარაკში, თითქოს სულით და გულით ჩანთქაო მისმა საუბარმა.

მე კი ამდროს თათქმის უგრძობლად ვუყურებდი იმის სპეტაკ ყელს და თვალს ვადევნებდი, გულმკერდზე რომ პუდრი სცივოდა.

ამ თვალის სერიით ვართულის ხელი მკრა მეზობელმა, მარცხნივ რომ იჯდა, რომელიც ვანთქმული იყო თავის მასხრობით და დაზღანდარობით

და რომელსაც თითქმის არ ვიცნობდი.

— თქვენ ბედნიერი ხართ! ჩამწურულა, შევნიერი ინესი გიარმიყვდებო.

— საიდან დასკვნით ეს? — უგემურათ შეუბრუნე მას პასუხი.

— განა, ახლა ხანს არ გიამბობდათ თავის ქმრის ლალატის გულ-საკლავ ისტორიას? ეს მას ჩვეულვად აქვს მაშინ, როცა ვისიმე დაპყრობას მოიწადინებს. მე ეუმზადებდი მტკახე პასუხს, მაგრამ ამდროს ინესი მომიბრუნდა და უგემურად მკითხა:

— რაზე ვლაპარაკობდით ახლა ხანს?

და რადგანაც ვერც მე და ვერც იმან ვერ ვეცხვინეთ, ამიტომ დავიწყეთ ლაპარაკი „Richter von Zalamea“-ს წარმოდგენაზე გერმანელების თეატრში.

საღილს შემდეგ შევედი თამაქოს საწვე ოთახში, ჩაუჯექი საერძელში, გარს შემოვიხეიე სივარის კვამლის ნისლი და დანადგლიანებული ეფიქრობდი, ეს არის, ახლა ნანსმენ-ნახულზე. „რა ეს დედაკაცი არ უნდა ყოფილიყო უბედური; სჩანს, ყოველივე გრძნობა მასში დახშული იყო, თუ კი იმას შეეძლო საკუთარი თავის უღიზიანებით ეკვლეოდა? ან იქნება კიდევ ვცდებოდი. ხომ არ მივდებდა მასხარად, რომ უკეთ დეფარა ჩემგან თავის სულის ნამდვილი მდგომარეობა“. მე აღარ შემიძლო ერთს ადგილს ჯდომა. ვადვისროლე სივარა, დებრუნდი საზოგადოებაში და დაუწყე ძებნა მას. მაგრამ კვლავ კი ვერ მივაგენი. ბოლოს, როცა ჩვედი ზღში, მოკვარი მას თვალი. ის კვლავად გაწოლილია საერძელში ღიღ-ფურცლოვან მაჯის ჩრდილ ქვეშ. მარტოც არ არი. მხარზე დაყრდნობია პ—ი, ყმ—ლასაგან ცნობილი მოარზიყე და მოქეიყე. მაცდური სახით ეხება მის ყურს და ჩასწურულებს გულის მომზიბლავ სიტყვებს. ის კი?... ის ილიმებას..

გ. დ.—ქ

ს ა თ ა რ ი ს მ ო ნ ა ს ტ ვ ე რ ი




რთი უწარჩინებულესი ნაშთი ჩემის ძველის განათლებისა არის საუარის მონასტერი, რომელიც მდებარეობს ახალციხის სამხრით, ქალაქზე ექვსი ვერსტით მოშორებული ურაველსა

და გრელის წყლებს შორის, ფიქნარის ფერდობზე. „საფარის უმთავრეს ტაძარზე დიდებული სანახაობა არა არის რაო—ამბობს დღეუა: ტაძრის გუმბათს რეა საკრეტო აქვს ვარშემომწყვრიებული. ეს საკრეტები ქანდაკის არსებით არის შემკობილი. მიგნით საკრეტელი ხელოვნებით არის ქვის კანკა“

ლი ნაკეთები. კანკელს ექვსი ცარცის (ალეზასტრის) სვეტი აქვს, რომლებზედაც გადაყვანილი არიან თაღები, თვით კანკელის კედელზეა ოთხი გამოქანდაკებული სურათი ახალი აღთქმის წიგნიდან ამოღებული:

ძრის ახალს მდგომარეობას: „ღეთის მშობლის-ტაძარში, საკურთხეელის მახლობლად მე ენახეო ორი სამარის ქვა, რომლებზედაც ზედ წარწერები იმდენათ წაშლილია, რომ აღარ ამოიკითხებაო. ერთს ამ ქვა-



საფარის მონასტერი.

სხვათა შორის ხარება მთავარანგელოზის მიერ ღეთის-მშობლისადმი საკირიელია ხელოვნებით. ახლა ამ ოცის წლის წინათ ბ-ნ ზაგურსკიმ აღწერა მეცნიერულად ესევე საფარის მონასტერი და, რა სიტყვებით იხსენებს იგი საფარის ტა-

ზე ეყარენ ცარცის ნაშეღვიები შეენიერის დანგრეულის კანკელისაო. ამ ნაშეღვიებზე საუცხოვრთ გამოქანდაკებულია სახარება. რომ იკოდეთ რამდენი სილაზათეა ამ ქანდაკში. სახეები დიდები არ არიან; უნდა ვთქვათ, პაწაწინტელეები არიან, მაგრამ ისე

მკაფიოდ, ზომიერად და ლამაზად არიან გამოკრილინი ქვაზე, რომ დიდხანს ევლარ მოვაშორეთ თელი. ეს ქანდაკი ამტიკებს, რომ სამცხე-საათაბაგოში ძველად ყოფილა შესანიშნავი განათლება. ამისთანა რამე გასაკვირველი საქათველოში არსად გვინახავს და აქ კი ისე უპატრონოდ ყრია, თითქოს ნაგვად მოსაგველი და გადასაყრელი იყოსო. აქ გვითხრეს, რომ მთელი დიდი ცარცის თლილი ქვებიც იყოველ კანკელის ნაშთებიდან ზედქანდაკით მოჭრილიო, მაგრამ ეილაც მოვიდა და თან წაიღოო... არც არის ეს შემთხვევა გასაკვირი. აქ ისე უპატრონოდ ყრია ყოველი ფერი, რომ შეიძლება ყველამ ადგილად გაიტანოს დიდებული დროის ძველი ნაშთებიო“. როგორ სამწუხარო და საეალალო არ უნდა იყოსო-დასძენს დიმი. ბაქრაძე, რომ საკვირველი და ყველაზე უფრო შესანიშნავი კანკელი საფარის ეკლესიისა ოსმალეზის დროებში დუბუამდის მთლად მოწვეწეულა და შემდეგ, როცა ეს მონასტერი მართლმადიდებლის მთაერობის ხელში გადმოსულა, მერე დარღვეულა მისი კანკელი, მისი მოქანდაკებული ქვება დამტყდარა და ვიგინდარებს წაულიათო? როგორ სამწუხარო არ არისო-განაგრძობს დიმი. ბაქრაძე, რომ კუმურდოს ტაძარი ეს საკვირველი ნიშნში ძველის ზურთთმოდერებისა ახალქალაქის ნიადაგზე მომსგლეღვ ქრისტიანების ხელით ირღვევა და ქვაბლიანის

ხეობაში ჯულების ტაძრის გარემებრანდის ქვებს ჩვენ თელის წინ ჰგლეჯდენ და მიჰქონდათ.

ბროსსეს გამოკვლევით საუარის მონასტერში ყოფილა თორმეტი სხვა-და-სხვა ეკლესია; მათ შორის ყველაზე შესანიშნავი ყოფილან სამი ტაძარი: წმინდა საბასი, ლევისმშობლისა და მარინესი, ხოლო უდიდესი ყოფილა საბა-წმინდის ტაძარი და უძველესი კი ღეთის მშობლის ტაძარი; ბროსსეს აზრით, ისუნდა იყოსო მეთათხმეტე საუკუნეში აგებული. ბროსსეს უნაპავს ტაძარს შვიდნი მხატვრობა სამის თუ ოთხის ათაბავის: სარგისის, ყვარყვარესი, შალღასი და ბექასი, რომელსაც სახელი აქვს მანდატურთ უხუცესობისა. ისინი არიან გვარად ჯაყელნი: მათ შორის შესანიშნავია თამარის დროს წარჩინებული მხედართ-მთავარი და დარბაისელი კარის კაცი ბოცო ჯაყელი. როგორც ფიქრობენ, მის შთამომავალს ბექა პირველს მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისს აღუვია საბა წმინდის ტაძარი საფარის მონასტერში.

ღღეს ამ დიდებულს ძველს საქართველოს მონასტერს დაპატრონებია რუსეთიდან მოსული არხიმანდრიტი პაისი, რომელსაც თან წამოაუყვანია რუსთა ბერ-მონაზნებუბა და მორჩილები, და იმათი რიტევი დღითი-ღღე მატულობს. აქ ამ მონასტერში გაისმის ღღეს ქართული წირვა-ლოცვის მავიერად რუსული გლობა და მღღელთმსახურება.

კალია და მისგან მავნებლობა

(დასასრული)

წაზოგადოდ კალია მალლობს მშრალს ადგილზე, უფრო ჩქარა ფრთოვანდება, ვიდრე იმ კალბებში, სადაც მუდამ უყვარს ბუღობა და ცხოვრება. წინათ დაფრთიანებული კალია უცდის სხეების დაფრთიანებასა და იქამღე ცხოვრებს, როგორც კუტი კალია, დახტის მხოლოდ და დადის. ფრენა ასე იცის კალიამ: მცენარიდან წინეთ მალამალა ავა; მერმე გადაფრინდება თხუთმეტს, ოცს საყენსა და მერმე დაეშეება მეორე ადგილას; აქედანაც ისევე გადადის მესამე ადგილზე, მერე მეოთხეზე და სხვა. მსმენელობით მწერებში კალია პირველია,

მაგრამ ამისთანავე მეტად მშინზარა; ცოტაოდენი ხმურობაც თავზარს სცემს მას და მიფრინავს გამაღებული...

ხან-და-ხან კალია თიბათვის უკანასკნელს რიტებებში იწყებს ფრენას ხოლმე. თუ მეტად გამრავლდა საღმე და საქმელი აღარ ჰყოფნის, იყრება კალია და სხვა შორი ადგილებისკენ მიემურება საზრდოს სამებრად; ამ შემთხვევაშიაც დღისით მოძრობს და ღამე კი ძინავს მოსვენებით. გუნდი კალიისა უფრო მდინარეების ნაპირებს მისდევს, რადგანაც მკათათვისა და მარიობის თვეში ამ ადგილებში უფრო ბლომად შოულობს მწვენე სხვა-და-სხვა მცენარეულობას...

რა გარემოება უწყობს ხელს კალიის გამრავლებას...

ელმას? ამ კითხვანე გამოკრეული და საბუთიანი პასუხი ჯერ არავის გამოუთქვამს, თუმც ეს გარემოება დამოკიდებული უნდა იყოს გვალვიანსა და მშრალს ზაფხულზე. მაგალითად, ამბობს ლინდემანი, როდესაც ზემო დასახლებულ ქალებს წვიმიანი ზაფხული შეხვედრია, 'კალია ძალიან ცოტა გამოჩეილა. როდესაც კი ვაზაფხულ-ზაფხული გვალვიანი ყოფილა, მეტადრე ორს-სამს წელიწადს ზედი-ზედ და ქალები გამშრალა, გამოგვალულა, რის გამოც მცენარეულობა გამხმარა, მაშინ გუნდი კალიისა ძლიერ გამრავლებულა გადასულა აქეთ-იქით მხარეებში და ვადუქამია მცენარეულობა და ქანახული...

საზოგადოთ მწერები და განსაკუთრებით კალია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დიდს ზარალს აძლევს კაცობრიობას. მაგრამ კაცობრიობამ ჯერ კიდევ ისეთი ხერხი ვერ მოიგონა, რომლითაც შესძლებოდა გამკლავება ამ მოსავლის მტერს—მწერ-კალიას და დეხეცა ვაჩენის უმაღლე მიწაში. მეცნიერების სიტყვით, ქვეყანავე კალიის გადაშენებამდის ბევრი საშუალები გაიგლის და არ მოხერხდება მანამდის, სანამ ხალხი ჰობიან ადგილებს არ გაამშრალებს, არ გააშენებს ტყეებით და ზაღებად არ გადააქცევენ. ამდროს ჩვენ, მკითხველო, ვერ მოვესწრაობით, რასაკვირველია, და კალია კი, როდესაც ვაჩნდება ჩვენს ადგილებში, უსათუოდ უნდა დაიხიოს რაიმე ხერხით. კალიის დასახიკათ ბევრნაირი „პრაქტიკული“ ხერხია მოგონებული; მათ შორის ჩვენს ერთს ხერხს დავასახელებთ, იმ ხერხს, რომელიც რომელიმე იტალიელ ძველ დროში და ხოცდენ კალიას, როდესაც იმათ ქვეყნებში ვაჩნდებოდა და ახერხებდა ნათესს ადგილებსა. აი, ეს ხერხი: საღამო ყამს უნდა ამოიჩხეს ის ადგილები, სადაც გუნდი კალიისა მიქინვარებს და მუსრს აელებს მცენარეულობას. ამოჩრეულს ადგილებში დილით, მანამ კალია გააღვიძებდეს, უნდა გაითხაროს გრძელი ორმოები, სიგრძით ათი-თხუთმეტე საყენი. ორმოების პირი პირდაპირ უნდა იყოს ჩაქრილი, რომ კალია ადვილად არ ამოვიდეს იქიდან, როდესაც ჩავაჩაერდება. გათხრილი ორმოები სიგანით არშინის სამი ჩარეკი უნდა იყოს, საღრმით კი არა ნაკლები ერთის არშინისა. ამის გარდა, ამ გრძელს გათხრილს ორმოების ძირში კიდევ ოთხ-ხუთ ადგილას მრგვალი ორმოები უნდა გაითხაროს, ამოთხრილი მიწა იმ მხარეს

არ უნდა იყაროს, 'საიდანაც კალია უნდა ჩაიყაროს, არამედ მეორე მხრით. ორმოები მზათ გვაქვს, როგორ ჩაეყაროთ და როგორ ჩაელოთ კალია შიგ? აი, როგორ: ხალხი უნდა გამოკრეიდეს რამოდენიმე რიგად ისე, როგორც ჯარი' კაცები დგანან სწავლის დროს ხოლმე, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ კალიის მიაკრეული ხალხი ახლო უნდა იდგეს ერთი მეორესთან, ექორს კარგი ცოცხი და თანაბრად მიჰყავდეს გუნდი კალიისა ორმოსაკენ ცოცხის გეთა და ქვეითა. ამდროს ხმაურობა და ყვირილი საჭირო არ არის, რადგანაც ცოცხების მშაც საქმარისია კალიისათვის, რომ იქით წაიყვანონ, საითაც უნდათ. რამდენჯერაც ჩარეკენ კალიას ორმოში, იმდენჯერ უნდა ჩაიბეგვოს და დაიხიოს. როდესაც ერთი ორმო აიესება, მეგრე მეორესკენ გადაღიან და ამ სახით ხოცვენ კალიას...

თუ მინდრები მაღალი ბალახით არის შემოსილი, იმ შემთხვევაში ბალახი უნდა მოიჭრას და წერილ-წერილი გზება გაკეთდეს, გზების ბოლოში კი როგორც ნასწავლებია, ორმოები უნდა იყოს დამზადებული. გუნდი კალიისა ამ გზებს მონახავს, სიქარით გაიგლის და ორმოში ჩაეარდება ბოლოს. კალიის ორმოში დასახიკად სქელისა და პტყელის ფიკრის ხელები უნდა იყოს გაკეთებული, რომლებიც ორმოების პირზე უნდა იქყოს...

ის ადგილები, სადაც კალიამ მოასწრო და კერძები დაღვა, თუ მშრალი შემოდგამა, ერთის გოჯის სიმაღლეზე უნდა მოიხნას და დაიფარცხოს, რადგანაც დაფარცხვისა და დახენის დროს მიწაში ჩალაგებული კალიის პარკები ზემოთ მოქცევა და ადვილი სანახავი იქნება იმის მტრებისათვის, რომლებიც ზემოთ დავასახელებთ და რომლებსაც ძალიან უყვართ კალიის პარკების ქამა...

ს. ლონაქე

მრეკატორ. გამომცემელი ან. თ.-წეჭეთლისა.

გ ა ნ ს ხ ა ლ ე მ ა ნ ი

ВНОВЬ ОТКРЫТЬ СКЛАДЪ

Посудь въ башмачномъ и литейномъ ряду; продажа разныхъ фарфоровыхъ, фаянсовыхъ и стевлянныхъ товаровъ по фабричнымъ цѣнамъ въ магазинѣ

Я. А. Давурова

დაიბეჭდა და იხსილება

წერა-კითხვის საზოგადოების და ამხანაგობის წიგნის მალაზიტში

რ ა უ ე ი ს

რამდანიამ მოთხრობა

მათარგმნი სომხურიდან დ. ტურ დაკითხანციის მიერ.

ფასი 25 კაპ.

მათარგმნელს უნდა მიმართონ შემდეგი ადრესით: Тифлиς, Ванский переулок д. Месропова № 2.

დაწ 1894 წ. სამი წლის ვადით. პირობების შეტყობა შეიძლება თვით ქალაქის გამგეობის კანცელარიის მიმართ 10 საათიდან 12 საათამდის.

(5-5)

რაინის ფრის მიმოსვლა

ტფილისიდან ბათუმს მიღის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წმ. დღ. და № 4—6 ს. 50 წმ. საღ.

ბათუმიდან ტფილისს მიღის № 1 9 ს. 45 წ. საღ და № 3 11 ს. 25 წმ. დღ.

ტფილისიდან ბაქოს № 3 მიღის 1 ს. 20 წმ. დღ. ბაქიდან ტფილისს მიღის 5 ს. 50 წმ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდან განჯას მიღის 9 ს. 20 წ. საღ განჯიდან ტფილისს მიღის 1 ს. 30 წმ. დღის, ტფილისიდან ხაშურს მიღის 3 ს. დღ. ხაშურიდან ტფილისს 8 ს. 10 წმ. დღელ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდან გადის:

ხუთშაბათობით: დღის 12 საათზე მოკლე გზით, შუგლის ნოვოროსისკაში და კერში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად, შუგლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმიში მიდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსისკაში და სხემთა

ორშაბათობით: დღით სწორე გზით ნოვოროსისკაში და სხემთა.

3 პარასკეობით და ოთხშაბათობით საღ. შორის გზით, შუგლის ყველა ნავთსადგურებში.

ფოთშია მიდის:

საფოსტო და სამგზავრო ბათუმიდან კერა დღით განთიადსა.

პარასკეობით: საფოსტო და სამგზავრო.

სამშაბათობით: დღისით სამგზავრო და საქონლის ოდესიდან.

ხუთშაბათობით: დღისით სამგზავრო და საქონლის ბათუმიდან.

ფოთიდან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევს ორ საათზე საფოსტო და სამგზავრო ოდესში და ყველა ნავთსადგურში შუგლის დღის ხუთ საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სამგზავრო საქონლსა და ყველა შემდეგ ბათუმიში.

სამგზავრო და საქონლისა ბათუმიში, სამშაბათობით, დღის 10 საათზე.

სამგზავრო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესში და ყველა ნავთსადგურში შუგლის.

საქონლისა და სამგზავრო გემზე II და III კლასის მიგზავრება მიიღებენ ესაგზავლოდაც.

დაგზავნი საზოგადოება

ი ა გ ო რ ი (ღუხა)

ჟამდელსა და მტკიცებულ 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებით სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლება. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოვებაში.

მიიღება ყოველნაირი მოძრაობისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასად-წამოსალების საქანლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები; პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების ავენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზაფრევისაგან, რომელიც დგას ევლიამინოვის ქუჩაზე № 2.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 27 აპრილს, 1894 წელს, დღის 12 საათზე დანიშნულია ქალაქის გამგეობის დარბაზში იჯარით გაეცმა პარამისა ტყარზე მუხრანისა და რიყის ქუჩებ შუა 1 იანერი-